ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.02/10/ 172

ქ. თბილისი 02.04.2018 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) ვლადიმერ ჭიღლაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სი-ტი პარკ" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ბენი ლაჰავის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) საგანია ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ავტოსადგომების მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე).

2.2 შესყიდვის ობიექტია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული 182 (ასოთხმოცდაორი) ერთეული ავტომანქანის 6 (ექვსი) თვით პარკირების სისტემაში გააქტიურება.

2.3 სისტემაში გასააქტიურებელი ავტომანქანების ჩამონათვალი და სისტემაში გააქტიურების თარიღები მოცემულია დანართ N1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი N1 – 7 ფურცელი).

2.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4550 (ოთხიათას ხუთასორმოცდაათი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით, საიდანაც ერთი ერთეული ავტომანქანისათვის სისტემაში 6 (ექვსი) თვიანი პარკირების გააქტიურების ღირებულება შეადგენს - 25 (ოცდახუთი) ლარს.

2.5 კლასიფიკატორის კოდი: 63712400 - ავტოსადგომთა მომსახურებები.

2.6 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2018 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 მომსახურების სისტემაში გააქტიურება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2018 წლის 02 აპრილიდან.

3.2 გაცემული ნებართვები ძალაში უნდა იყოს გააქტიურებიდან 6 (ექვსი) თვის ვადით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდევლი ორგანიზაცია.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის უფროსი) ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ლოჯისტიკის სამსახურის თანამშრომლები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის უფროსი).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2018 წლის ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის გადახდის შემდეგ.
7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.
8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თითეულ მანქანაზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ის ოდენობით.
8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.
8.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების

გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ღირებულება

12.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

12.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

12.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ მოთხოვნის შემთხვევაში შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

13.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. სხვა პირობები

15.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

15.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

16. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. № 7
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 204521794

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის უფროსი)

ვ. ჭიღლოვაძე

მიმწოდებელი:

შპს „სი-ტი პარკ“
მის: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47
სს „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE75TB7721336070100003
ს/კოდი: 204543770

შპს „სი-ტი პარკ“-ის გენერალური მენეჯერი

ბ. ლაჰავ

პარკირების სისტემაში გასააქტიურებელი ავტომობილების სია

№	ავტომობილის სახელმწიფო ნომერი	სი ტი პარკის სისტემაში გააქტიურების თარიღი
1	AA540BB	02 აპრილი, 2018
2	AA707JJ	02 აპრილი, 2018
3	BBU499	02 აპრილი, 2018
4	BBU599	02 აპრილი, 2018
5	BKB313	02 აპრილი, 2018
6	CQC226	02 აპრილი, 2018
7	CQC694	02 აპრილი, 2018
8	CQC745	02 აპრილი, 2018
9	CQC746	02 აპრილი, 2018
10	CQC749	02 აპრილი, 2018
11	CQC750	02 აპრილი, 2018
12	CQC753	02 აპრილი, 2018
13	CQC827	02 აპრილი, 2018
14	CQC829	02 აპრილი, 2018
15	CQC830	02 აპრილი, 2018
16	CQC831	02 აპრილი, 2018
17	CQC839	02 აპრილი, 2018
18	CQC841	02 აპრილი, 2018
19	CQC842	02 აპრილი, 2018
20	QQ323ZZ	02 აპრილი, 2018
21	CQC845	02 აპრილი, 2018
22	CQC846	02 აპრილი, 2018
23	CQC847	02 აპრილი, 2018
24	CQC849	02 აპრილი, 2018
25	CQC850	02 აპრილი, 2018
26	CQC852	02 აპრილი, 2018

27	CQC853	02 აპრილი, 2018
28	CQC854	02 აპრილი, 2018
29	CQC856	02 აპრილი, 2018
30	CQC857	02 აპრილი, 2018
31	CQQ519	02 აპრილი, 2018
32	DGD849	02 აპრილი, 2018
33	DMM270	02 აპრილი, 2018
34	DSS505	02 აპრილი, 2018
35	FCF881	02 აპრილი, 2018
36	FF871BB	02 აპრილი, 2018
37	FFO707	02 აპრილი, 2018
38	FFT484	02 აპრილი, 2018
39	FFT815	02 აპრილი, 2018
40	FMF729	02 აპრილი, 2018
41	FVF132	02 აპრილი, 2018
42	GG784BB	02 აპრილი, 2018
43	GGJ552	02 აპრილი, 2018
44	GGJ707	02 აპრილი, 2018
45	HXH878	02 აპრილი, 2018
46	IPI808	02 აპრილი, 2018
47	IYI838	02 აპრილი, 2018
48	JJO343	02 აპრილი, 2018
49	JUS505	02 აპრილი, 2018
50	MER077	02 აპრილი, 2018
51	NXN114	02 აპრილი, 2018
52	NXN115	02 აპრილი, 2018
53	NXN121	02 აპრილი, 2018
54	NXN133	02 აპრილი, 2018
55	NXN171	02 აპრილი, 2018
56	NXN181	02 აპრილი, 2018

57	EM040SG	02 აპრილი, 2018
58	NXN266	02 აპრილი, 2018
59	NXN271	02 აპრილი, 2018
60	NXN281	02 აპრილი, 2018
61	NXN284	02 აპრილი, 2018
62	NXN289	02 აპრილი, 2018
63	NXN290	02 აპრილი, 2018
64	NXN293	02 აპრილი, 2018
65	NXN294	02 აპრილი, 2018
66	NXN295	02 აპრილი, 2018
67	NXN296	02 აპრილი, 2018
68	NXN297	02 აპრილი, 2018
69	NXN298	02 აპრილი, 2018
70	NXN301	02 აპრილი, 2018
71	NXN302	02 აპრილი, 2018
72	NXN304	02 აპრილი, 2018
73	NXN306	02 აპრილი, 2018
74	NXN307	02 აპრილი, 2018
75	NXN308	02 აპრილი, 2018
76	NXN309	02 აპრილი, 2018
77	NXN311	02 აპრილი, 2018
78	NXN312	02 აპრილი, 2018
79	NXN313	02 აპრილი, 2018
80	NXN314	02 აპრილი, 2018
81	NXN315	02 აპრილი, 2018
82	NXN316	02 აპრილი, 2018
83	SSD023	02 აპრილი, 2018
84	NXN318	02 აპრილი, 2018
85	NXN319	02 აპრილი, 2018
86	NXN321	02 აპრილი, 2018

87	NXN322	02 აპრილი, 2018
88	NXN323	02 აპრილი, 2018
89	NXN324	02 აპრილი, 2018
90	NXN325	02 აპრილი, 2018
91	NXN326	02 აპრილი, 2018
92	NXN327	02 აპრილი, 2018
93	NXN328	02 აპრილი, 2018
94	NXN329	02 აპრილი, 2018
95	NXN331	02 აპრილი, 2018
96	NXN332	02 აპრილი, 2018
97	NXN334	02 აპრილი, 2018
98	NXN335	02 აპრილი, 2018
99	NXN336	02 აპრილი, 2018
100	VV641BB	02 აპრილი, 2018
101	NXN338	02 აპრილი, 2018
102	NXN339	02 აპრილი, 2018
103	NXN340	02 აპრილი, 2018
104	NXN422	02 აპრილი, 2018
105	NXN433	02 აპრილი, 2018
106	NXN468	02 აპრილი, 2018
107	NXN469	02 აპრილი, 2018
108	NXN471	02 აპრილი, 2018
109	NXN472	02 აპრილი, 2018
110	NXN473	02 აპრილი, 2018
111	NXN475	02 აპრილი, 2018
112	NXN476	02 აპრილი, 2018
113	NXN478	02 აპრილი, 2018
114	NXN480	02 აპრილი, 2018
115	NXN481	02 აპრილი, 2018
116	NXN482	02 აპრილი, 2018

117	NXN483	02 აპრილი, 2018
118	NXN485	02 აპრილი, 2018
119	NXN486	02 აპრილი, 2018
120	OT139OT	02 აპრილი, 2018
121	NXN493	02 აპრილი, 2018
122	NXN495	02 აპრილი, 2018
123	NXN496	02 აპრილი, 2018
124	NXN498	02 აპრილი, 2018
125	NXN501	02 აპრილი, 2018
126	NXN503	02 აპრილი, 2018
127	NXN504	02 აპრილი, 2018
128	NXN506	02 აპრილი, 2018
129	NXN512	02 აპრილი, 2018
130	NXN513	02 აპრილი, 2018
131	NXN514	02 აპრილი, 2018
132	NXN520	02 აპრილი, 2018
133	NXN521	02 აპრილი, 2018
134	NXN529	02 აპრილი, 2018
135	NXN530	02 აპრილი, 2018
136	NXN531	02 აპრილი, 2018
137	NXN532	02 აპრილი, 2018
138	NXN536	02 აპრილი, 2018
139	US745SU	02 აპრილი, 2018
140	NXN541	02 აპრილი, 2018
141	NXN546	02 აპრილი, 2018
142	NXN564	02 აპრილი, 2018
143	NXN569	02 აპრილი, 2018
144	NXN576	02 აპრილი, 2018
145	NXN586	02 აპრილი, 2018
146	OO118GG	02 აპრილი, 2018

147	QHQ077	02 აპრილი, 2018
148	QPQ707	02 აპრილი, 2018
149	SLS010	02 აპრილი, 2018
150	TFT994	02 აპრილი, 2018
151	TSU826	02 აპრილი, 2018
152	TSU834	02 აპრილი, 2018
153	TSU850	02 აპრილი, 2018
154	TSU851	02 აპრილი, 2018
155	TSU852	02 აპრილი, 2018
156	TSU853	02 აპრილი, 2018
157	TSU854	02 აპრილი, 2018
158	TSU857	02 აპრილი, 2018
159	TSU860	02 აპრილი, 2018
160	TSU862	02 აპრილი, 2018
161	TSU863	02 აპრილი, 2018
162	TSU864	02 აპრილი, 2018
163	TSU865	02 აპრილი, 2018
164	TSU866	02 აპრილი, 2018
165	GG121VV	02 აპრილი, 2018
166	TSU868	02 აპრილი, 2018
167	TSU869	02 აპრილი, 2018
168	TSU870	02 აპრილი, 2018
169	TSU871	02 აპრილი, 2018
170	TSU872	02 აპრილი, 2018
171	TSU873	02 აპრილი, 2018
172	TSU874	02 აპრილი, 2018
173	VBV707	02 აპრილი, 2018
174	VV220NN	02 აპრილი, 2018
175	VWW770	02 აპრილი, 2018
176	WWO990	02 აპრილი, 2018

177	XQX820	02 აპრილი, 2018
178	XQX823	02 აპრილი, 2018
179	XQX824	02 აპრილი, 2018
180	XQX825	02 აპრილი, 2018
181	XQX826	02 აპრილი, 2018
182	ZOZ077	02 აპრილი, 2018

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის უფროსი

ვ. ჭიღლაძე

შპს „სი-ტი პარკ“-ის
გენერალური მენეჯერი

ბ. ლაჰაგ

10/172

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 02.04.2018 წელი

ქვემოთ ხელის მომწერი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებ, რომ ავტოსადგომების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(ადმინისტრაციის უფროსი)

ვლადიმერ ჭიღლაძე